



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი № 02

„25“ „იანვარი“ 2018 წელი

ერთმანეთთან გრძელვადიანი და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისა და განათლებისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის სურვილიდან გამომდინარე, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისთვის წარმოადგენს რექტორი, პროფესორი თეონა ხუფენია და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“), რომელსაც წარმოადგენს რექტორი, პროფესორი ირმა შიოშვილი, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი. 1

მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეთა სურვილი, ითანამშრომლონ განათლების სფეროში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის. ამ მიზნით, დაეხმარონ ერთმანეთს გამოცდილების გაზიარებასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში, სამეცნიერო პოტენციალის სრულად გამოყენების შესაძლებლობის გაძლიერებაში.

1.2. მემორანდუმში შესატანი ცვლილებები შეიძლება წარმოადგენილ იქნეს ნებისმიერი მხარის მიერ და დაემატოს შეთანხმებას.

მუხლი. 2

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

მემორანდუმი ითვალისწინებს ურთიერთთანამშრომლობის შემდეგ მიმართულებებს:

2.1 კვლევა.

2.1.1 ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება;

2.1.2 ერთობლივი სამეცნიერო პროექტების, სემინარების, შეხვედრების, კონფერენციების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება.

2.1.3 აკადემიური ინფორმაციის, პუბლიკაციების, ნაბეჭდი მასალის, პერიოდული გამოცემების გაცვლა უნივერსიტეტებს შორის.

2.2 საგანმანათლებლო საქმიანობა.

2.2.1 აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

2.2.2 ბაკალავრიატის, მაგისტრატურის სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების გარე აქტივობების (საჯარო ლექციები, სემინარები, ვორქშოპები, კვალიფიკაციის დონის ასამაღლებელი ტრენინგ-კურსები, ზაფხულისა და ზამთრის სკოლები) განხორციელება.

2.2.3 ბაკალავრიატის, მაგისტრატურის სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში ჩართვა.

2.2.4 აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის ბიბლიოთეკის რესურსებსა და უნივერსიტეტის სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე ხელმისაწვდომობა.

მუხლი. 3

მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ნებისმიერი მხარის მიერ.

მუხლი. 4


4.1 სხვა პირობები

მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

წარმოდგენილ მემორანდუმს შეიძლება დაემატოს უფრო დეტალური სამუშაო გეგმა და განახლდეს დაგეგმილი პროექტების მიხედვით.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი
რექტორი

თეონა ხუფენია



მისამართი.: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. № 14

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი

ირმა შიოშვილი



მისამართი: თელავი, უნივერსიტეტის ქ. № 1